საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-869

26/10/2018

ქ. თბილისი

შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბოლნისის მუნიციპალიტეტში ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბერთაკარის მიმდებარედ (მიწის ნაკვეთის ს/კ 80.10.61.177.) ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილ სკრნინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა დაგეგმილია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბერთაკარის მიმდებარედ, საიდანაც უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 620 მეტრით. ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოხსნილია და დასაწყობებულია ხოლო საწარმო ტერიტორია შემოღობილია.

ნავთობპროდუქტის საცავი წარმოდგენილია ცილინდრული ფორმის მიწისზედა დაწვენილი ჭურჭლით, რომლის გარეთა ზედაპირი დაფარულია მინიმუმ 80 მკრ სისქის ჟანგ-საწინააღმდეგო ემალირებული საღებავით, დამზადებულია ფურცლოვანი ფოლადისაგან. ავზის საერთო მოცულობა შეადგენს 25 $მ^3$-ს. საცავი წარმოადგენს ავტოგასამართი სადგურის კომპლექტაციის შემადგენელ ნაწილს.

ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისათვის იგეგმება შემდეგი სახის სამშენებლო სამუშაოების წარმოება: ტერიტორიის დაბეტონება, საწვავის გასაცემი სვეტების მოედნის გარე პერიმეტრზე არხების მოწყობა, რომელიც შეერთდება მიწისქვეშა ავზთან (სალექართან), სადაც მოხვდება საწარმოს ოპერირებისას უნებლიედ დაღვრილი საწვავი, სახურავის მოწყობა.

ოპერირებისას სალექარში მოხვედრილი ნავთობპროდუქტები ამოღებულ და გამოყენებულ იქნება წარმოებაში, ხოლო დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია დიზელის საწვავის რეალიზაციისათვის. საწარმო საწვავს მიიღებს ავტოცისტერნების საშუალებით, რომლის წლიური წარმადობა შეადგენს 200$მ^3$ დიზელის საწვავს.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.

საწარმოში ცენტრალიზებული წყალმომარაგება არ არსებობს, ამიტომ პირველ ეტაპზე მოხდება წყლის შემოტანა გარე ქსელიდან და რეზერვუარში დაგროვება. ნახმარი წყლის ჩაშვება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომელის გაწმენდაც მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი ექნება საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა რაოდენობა არ გადააჭარბებს ზდკ-ის დასაშვებ ნორმას საწარმოდან როგორც 500 მეტრიან რადიუსში, ასევე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან.

ნავთობპროდუქტებით სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი არ არსებობს, რადგან საცავი და ავტოგასამართი სვეტები განთავსებული იქნება ზემოდან დახურული ფარდულის ტიპის შენობაში.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარის მონტაჟი.

დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული და ცხოველთა სახეობები.

საცავის მოწყობის პერიოდში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრული კანონმდებლობის დაცვით დასაწყობებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე. საცავის მშენებლობისა და ექსპლუატაციისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები გამოყენებული არ იქნება.

საცავის მოწყობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა ინერტული მასალების ნარჩენების სახით, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა 1,5მ^3-ის მოცულობით, რომელიც გატანილი იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ ფუნქციონირებს.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცაცხლმაქრით.

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშით დგინდება, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში შპს „არ ემ აურამაინ“-ის მიერ დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაცია, საქმიანობიდან გამომდინარე, არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება მხოლოდ საცავების მოწყობა, რომელიც

ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს.

ავტოგასამართი სადგურების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი საწვავის სამარაგო რეზერვუარები და შესაბამისად, მისგან წარმოქმნილი გაფრქვევები ძირითადად მცირე მოცულობისაა და ნორმის ფარგლებშია და არ არის მოსალოდნელი მათი შორ მანძილზე გავრცელების შესაძლებლობა. შედეგად გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი არ დაქვემდებარების შესახებ.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „არ ემ აურამაინის“ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „არ ემ აურამაინი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „არ ემ აურამაინს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „არ ემ აურამაინის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბოლნისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი



მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი